ფრინველის ბუდე

გინახავს რომელიმე ფრინველის ბუდე? რისგან იყო იგი აშენებული? წაიკითხე ტექსტი და გაიგებ, როგორი „მშენებელია" ზოგი ფრინველი.

ფრინველი კვერცხს ბუდეში დებს. იქვე, ბუდეში, უვლის თავის პატარებს. ბევრი ფრინველი ბუდეს თვითონ იშენებს. ამას დიდი შრომა სჭირდება. იგი ჯერ ადგილს ირჩევს. ეს არის ხე, ბუჩქი, მიწა... შემდეგ მოაქვს საჭირო მასალა. თან ბუდეს აგებს.

რა მასალით აგებს ფრინველი ბუდეს? ეს არის **ჩალა**, **ტალახი**, ბალახი... აი, თუნდაც, შაშვის ბუდე. ის **ფიჩხისა** და ჩალისგან არის აგებული. შაშვი მას შიგნიდან ტალახით ლესავს. სახლის ბელურა ბუდეს აგებს ხის ტოტზე. ზოგჯერ შენობის კედელს იყენებს. ამისთვის მას სჭირდება ჩალის ღეროები, ხმელი ბალახი, ბუმბული. მერცხალი ბუდეს ტალახით იშენებს. ის **ჩხირებსა** და ტალახის ნაწილებს ნერწყვით ამაგრებს აივნის ჭერზე. ბუდე საკმაოდ ღრმაა. კვერცხი გარედან არ ჩანს. ასეთი ბუდე 2-3 წელს ძლებს. ფეიქარა კი ბუდეს ხის ტოტზე კიდებს.

როგორც ხედავ, ბუდე მრავალი სახისაა. ყველა მათგანი **საიმედოდ** არის დაცული მტრისგან.

.

შენი აზრით, რატომ უნდა დავიცვათ ბუდეები?

კომპონენტი: მთავარი აზრი და დეტალები, **დონე:** 2.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რას ვიგებთ პირველი აბზაციდან?

ა) რამდენ კვერცხს დებენ ფრინველები.

ბ) როდის დებენ ფრინველები კვერცხებს.

გ) სად დებენ ფრინველები კვერცხებს.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?

ა) ზოგი ფრინველის ბუდე რამდენიმე წელიწადს ძლებს.

ბ) ფრინველები ბარტყებს ბუდეში ჩეკენ და ზრდიან.

გ) ბუდის აშენებას ფრინველის დიდი შრომა სჭირდება.

3 რომელ დეტალზეა საუბარი ტექსტის მეორე აბზაცში?

ა) რა დრო სჭირდება ფრინველს ბუდის ასაგებად.

ბ) რა მასალისაგან აგებენ ფრინველები ბუდეს.

გ) სად ეძებს ფრინველი მასალას ბუდისთვის.

4 რის შესახებ <u>არ არის</u> საუბარი ტექსტში?

ა) რა მასალას იყენებს ფეიქარა ბუდისთვის.

ბ) რით ლესავს შაშვი ბუდეს შიგნიდან.

გ) სად იშენებს მერცხალი ბუდეს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

ბუდე <u>**საიმედო**</u> ადგილია ბარტყისთვის.

ა) სანდო. ბ) საუკეთესო. გ) საუცხოო.

2 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ფიჩხი	წყალში აზელილი მიწა.
2. ჩალა	ხის წვრილი ხმელი ტოტი.
3. ტალახი	ხის წვრილი ტოტის ჩამონატეხი.
4. ჩხირი	მარცვლეული მცენარის ხმელი ღერო და ფოთლები.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ბალახი. ბ) ბუმბული. გ) ბუჩქი. დ) ხე.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ადგილი ---------- კარგად არის დაცული. *(მტრისაგან / მტრიდან)*

2. ზოგი ფრინველი ბუდისთვის ხეს ----------. *(ირჩევენ / ირჩევს)*

2 შეარჩიე სწორი ფორმა.

ბუდის შენებას დიდი შრომა ----------. *(ჭირდება / სჭირდება)*

3 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: ღერო — ღეროები

1. იასამანი – ---------- . 2. მერცხალი – ---------- .

გრამატიკა

4 რომელი <u>არ არის</u> სწორი?

1. ა) გარეული ფრინველები. გ) ზოგი ფრინველები. გ) ლამაზი ფრინველები.
2. ა) ბალახით. ბ) კარგად. გ) საკმაოთ.

წერა

1 ტექსტის მიხედვით დაწერე, რა მასალას იყენებენ ფრინველები ბუდის ასაგებად.



2 წარმოიდგინე, რომ ერთ-ერთი ფრინველი გვიამბობს, როგორ აშენებს ბუდეს. დაწერე მისი ნაამბობი პირველ პირში (მე ვარ ... მე ჯერ ვეძებ ...).

გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.